



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გომელაური ვახტანგ ივანეს ძე



ვ. ი. გომელაური

გომელაური ვახტანგ ივანეს ძე [8(21). IX. 1914, ჭიათურა, – 24. XII. 1995, თბილისი], მეცნიერი ენერგეტიკისა და ტექნიკური თბური ფიზიკის დარგში. საქართვე. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1979). ტექ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1965), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). საქართვე. მეცნ. აკად. გამოყენებითი მექან. და მართვის პროცესების განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1983–87). 1936 დაამთავრა საქართვე. ინდუსტრ. ინ-ტი ინჟინერ-თბოტექნიკოსის კვალიფიკაციით. 1938–45 მუშაობდა თბილ. თბოელექტროცენტრალში სხვადასხვა თანამდებობაზე.

1947– 59 იყო საქართვე. მეცნ. აკად. ენერგეტ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თბოტექ. განყ-ბის გამგე, 1959–65 – ამავე ინ-ტის თბოგადაცემისა და წვის განყ-ბის გამგე, 1965–70 – სტაბილური იზოტოპების ინ-ტის თბური ფიზ. განყ-ბის გამგე, 1965–83 – საქართვე. პოლიტექ. ინ-ტის თეორ. და ზოგადი თბოტექ. კათედრის პროფესორი. პარალელურად იყო სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი. გ-ის ძირითადი შრომები ეხება თბოგაცემის პროცესების ინტენსიფიკაციის ექსპერ. შესწავლას, თბური ტუმბოს სისტემის გამოყენებას სამრეწვ. და კომუნალურ ენერგეტიკაში, ატომური და ჰიდრავლიკური ელექტროსადგურების კომპლ. გამოყენებას ენერგოსისტემაში. მონაწილეობდა საქართვე. მეცნ. აკად. ფიზ. ინტის ატომური ცენტრის შექმნაში, თბილ. თბოელექტროცენტრალის აგებაში. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საქართველოში თბოტექ. მიმართულების რამდენიმე კვლევითი ლაბორატორია. 1987–95

იყო საქართვე. მეცნ. აკად. მართვის სისტემების ინ-ტის დირექციის მრჩეველი.

თბზ.: სითბოს და მასის გადაცემის თეორიის საფუძვლები (სახელმძღვანელო), თბ., 1974;
О применении тепловых насосов на чайных фабриках Грузинской ССР, «ა.
დიდებულის სახ. ენერგეტიკის ინ-ტის შრომები», 1956, ტ. 10 (თანაავტ. А. И.
Мухелишвили); Влияние искусственной шероховатости на конвективный
теплообмен, «ფიზიკის ინტის შრომები», 1963, ტ. 9.

თ. მაგრაქველიძე
